

კრიტიკული დაავადებებისგან დაზღვევის ხელშეკრულება/პირობები VTB Bank CRITICAL V1 2020 დანართი N2

1. ტერმინთა განმარტება

- 1.1. დაზღვევის საგანი - წინამდებარე პირობები ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას დაზღვეულის კრიტიკული დაავადების დიაგნოსტიკის შემთხვევაში;
- 1.2. სადაზღვევო შემთხვევა - დაზღვეულის პირველადი დიაგნოსტიკის შემთხვევა კრიტიკული დაავადებით, სადაზღვევო პერიოდის (პლიუს მოცდის პერიოდი) განმავლობაში;
- 1.3. კრიტიკული დაავადება - მოიცავს მხოლოდ შემდეგ დაავადებებს - ავთვისებიანი გენეზის ონკოლოგიური დაავადება (გამონაკლისებში მითითებულის გარდა), მიოკარდიუმის ინფარქტი, ინსულტი, კორონარული შუნტირება, თირკმლის უკმარისობა, ძირითადი ორგანოების გადანერგვა (გული, ფილტვი, ღვიძლი, პანკრეასი, ძვლის ტვინი);
- 1.4. დაზღვევის გეოგრაფიული ლიმიტი/არეალი - წინამდებარე დაზღვევა მოქმედებს მთელს მსოფლიოში;
- 1.5. სადაზღვევო თანხა - 50,000.00 (ორმოცდაათი ათასი) ლარი ერთ დაზღვეულზე;
- 1.6. სადაზღვევო ანაზღაურება - სადაზღვევო ანაზღაურება წარმოადგენს თანხის ოდენობას, რომელსაც მზღვეველი უხდის დაზღვეულს/ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას;
- 1.7. სადაზღვევო პერიოდი - სადაზღვევო პერიოდი არის დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა არის ძალაში. წინამდებარე დაზღვევის პირობების მიზნებისთვის დაზღვევის პერიოდი განისაზღვრება ერთი წლის ვადით;
- 1.8. მოცდის პერიოდი - სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან პირველი სამი თვე;
- 1.9. გადარჩენის პერიოდი - პირობებით დაფარული კრიტიკული დაავადების პირველადი დიაგნოსტიკებიდან, ლეტალურ გამოსავლამდე გასული დრო. ძალაშია მხოლოდ 50 წელს ზემოთ ასაკის პირებზე და შეადგენს ერთ თვეს.

2. დაზღვევის ობიექტი / სადაზღვევო რისკი

- 2.1. დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს დაზღვეულის/მოსარგებლის ქონებრივი ინტერესი, დაკავშირებული დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკის ხდომილების შედეგად დამდგარი ხარჯების/ზიანის ანაზღაურებასთან;
- 2.2. სადაზღვევო რისკი: კრიტიკული დაავადების პირველადი დიაგნოსტიკები

3. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წესი:

- 3.1. დაზღვეული ვალდებულია, მზღვეველს შემთხვევის (კრიტიკული ავადმყოფობა) შესახებ, შეტყობინება გაუგზავნოს შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე (დაავადების დიაგნოსტიკისთანავე) მაგრამ არაუგვიანეს ათი დღისა;
- 3.2. შეტყობინების მიწოდება ხდება ევროინს ასისტანსის შემდეგ ნომერზე +995 (32) 220 33 33, ხოლო შეტყობინებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში სავალდებულო განაცხადის შევსება და დოკუმენტაციის მიწოდება კომპანიის სათავე ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, მისაშვილის 24;
- 3.3. დაზღვეული ვალდებულია, მზღვეველს მიაწოდოს შემთხვევის განსახილველად აუცილებელი სრული დოკუმენტაცია;
- 3.4. მზღვეველი უფლებამოსილია, მოითხოვოს დაზღვეულის დიაგნოზთან დაკავშირებული დამატებითი საბუთები ან/და თავად ჩაატაროს დამატებითი გამოკვლევები;
- 3.5. სადაზღვევო ანაზღაურებისათვის აუცილებელი პირობაა შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:
 - დაზღვეულის ფორმა #IV – 100ა რომელშიც სრულად იქნება შევსებული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
 - დიაგნოზის დამადასტურებელი სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელსაც შემთხვევის/დაავადების სახეობიდან გამომდინარე განსაზღვრავს მზღვეველი.
- 3.6. ანაზღაურდება მხოლოდ სადაზღვევო პერიოდში დამდგარი (პლიუს მოცდის პერიოდი) შემთხვევები. ამასთან 50 წლის და ზემოთ პირებში დამატებით მოქმედებს მინიმუმ გადარჩენის პერიოდი - 1 თვის ვადით;
- 3.7. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა როგორც დაზღვეულზე ასევე მოსარგებლეზე ან/და მის მიერ სპეციალურად ამისათვის უფლებამოსილ პირზე, მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღის ვადაში;
- 3.8. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია შესაძლოა დაზუსტდეს ან დამატებით იქნეს მოთხოვნილი შემთხვევის გარემოებების გათვალისწინებით;
- 3.9. შემთხვევის შესახებ შეტყობინება უნდა განხორციელდეს შემთხვევიდან არაუგვიანეს 48 საათისა. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

4. კრიტიკული დაავადებებისგან დაზღვევის გამონაკლისები - სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა თუკი შემთხვევა გამოწვეულია რომელიმე შემდეგი მიზეზით ან დაავადებით:

- 4.1. სარძევე ჯირკვლის კარცინომა, როდესაც ავთვისებიანი / სიმსივნური უჯრედების არსებობა განვითარების ისეთ ეტაპზეა, როდესაც სიმსივნური უჯრედები არ გავრცელებულა ჯანსაღს სოვილის გარეშე. (ICD10 – D05 - ყველა ქვე კატეგორიით);
- 4.2. კრონის დაავადება;
- 4.3. პროსტატის სიმსივნე, შემდეგი კლინიკური დიაგნოზით T1N0M0 და T2N0M0;

- 4.4. ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან/და ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა;
- 4.5. თვითმკურნალობის შედეგად გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევა;
- 4.6. კრიმინალურ აქტში მონაწილეობის დროს დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა.

5. ხელშეკრულების შეწყვეტის/გაუქმების პირობები:

- სადაზღვევო პოლისის ვადის გასვლა;
- სადაზღვევო თანხის ამოწურვა;

6. მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველის სახელით: -----

დაზღვევის სახელით: -----